კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის გავლენა თანამშრომლების მოზიდვაზე, ჩართულობასა და მოტივაციაზე

თამილა მურვანიძე

მარიამ ოსიტაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე საზოგადოებრივი ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

საზოგადოებრივი ურთიერთობები

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი მახარაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამილა მურვანიძე

მარიამ ოსიტაშვილი

2024

აბსტრაქტი

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა (CSR) ბოლო ათწლეულში ბიზნეს სტრატეგიის განუყოფელ ნაწილად გადაიქცა. ეს ტენდენცია საქართველოშიც იწყებს გავრცელებას. კომპანიები აცნობიერებენ, რომ CSR საჭირო გახდა, რადგან ისინი აღარ ფასდებიან მხოლოდ ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით, არამედ იმით, რა გავლენას ახდენენ საზოგადოებასა და გარემოზე.

CSR კომპანიებს არა მხოლოდ მომხმარებლების, არამედ თანამშრომლების მოზიდვაშიც ეხმარება. ძლიერი კორპორაციული პოლიტიკა წარმოაჩენს ორგანიზაციას, როგორც მაღალი პასუხისმგებლობის მქონე სასურველ დამსაქმებელს. გარდა ამისა, CSR ინიციატივებმა შესაძლოა მნიშვნელოვნად გაზარდოს თანამშრომლის მორალური და სამოქალაქო პასუხისმგებლობა და აამაღლოს მისი მოტივაცია.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა კიდევ უფრო აქტუალურია საქართველოს განვითარებად ბაზარზე. ეს სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს, როგორ მოქმედებენ შიდა და გარე CSR აქტივობები თანამშრომლების აღქმასა და ქცევებზე, რათა უზრუნველყოს კომპლექსური ანალიზი CSR-ის გავლენის შესახებ სამუშაო ძალაზე.

სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მეთოდი მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივს. რაოდენობრივი მონაცემები შეგროვდა სხვადასხვა ქართული კომპანიის თანამშრომლების გამოკითხვით (n=200), ხოლო თვისებრივი ინფორმაციის შესაგროვებლად ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები HR და CSR მენეჯერებთან (n=10).

მიღებული შედეგები აჩვენებს, რომ CSR აქტივობები ზრდის თანამშრომლების მოტივაციას და ჩართულობას.

საბოლოო ჯამში, ქართულმა ბიზნესებმა აუცილებლად უნდა მიიღონ სტრუქტურირებული და ყოვლისმომცველი კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიები, რათა შეძლონ მისი სასარგებლოდ გამოყენება, ხელი

შეუწყონ სამუშაო ძალის მოტივირებას და გაზარდონ ორგანიზაციული წარმატების შანსი გრძელვადიან პერიოდში.

კვლევა რეკომენდაციას აძლევს ბიზნესებს, ჩართონ CSR მათ ძირითად ოპერაციებში, გააუმჯობესონ ამ მხრივ განხორციელებული ინიციატივების შესახებ კომუნიკაცია და რეგულარულად შეაფასონ ამ ინიციატივების გავლენა თანამშრომლების მოტივაციასა და ჩართულობაზე.

საძიებო სიტყვები: *კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა, კორპორაციული მდგრადობა, თანამშრომელთა მოზიდვა, თანამშრომელთა ჩართულობა, თანამშრომელთა მოტივაცია, CSR პოლიტიკა, CSR სტრატეგია.*

Abstract

Corporate Social Responsibility (CSR) has become an integral part of business strategy over the past decade. This trend is also beginning to spread in Georgia. Companies are realizing that CSR is necessary because they are no longer valued solely based on financial metrics, but also on the impact they have on society and the environment.

CSR helps companies not only in attracting customers but also in attracting employees. A strong corporate policy presents the organization as a highly responsible and desirable employer. Furthermore, CSR initiatives can significantly enhance employees' morale and civic responsibility, as well as increase their motivation.

CSR is even more relevant in Georgia's developing market. This master's thesis investigates how internal and external CSR activities affect employees' perceptions and behaviors to provide a comprehensive analysis of CSR's impact on the workforce.

The research method for this master's thesis included both quantitative and qualitative approaches. Quantitative data was collected through surveys of employees from various Georgian companies (n=200), while qualitative information was gathered through in-depth interviews with HR and CSR managers (n=10).

The results show that CSR activities increase employees' motivation and engagement.

Ultimately, Georgian businesses must adopt structured and comprehensive CSR strategies to leverage its benefits, enhance workforce motivation, and increase the chances of organizational success in the long term. The research recommends that businesses integrate CSR into their core operations, improve communication about these initiatives, and regularly evaluate the impact of these initiatives on employee motivation and engagement.

Keywords: *Corporate Social Responsibility, Corporate Sustainability, Employee Attraction, Employee Engagement, Employee Motivation, CSR Policy, CSR Strategy.*